№ 108

კვირა, 20 მაისი, 1901 წ.

1877—1901

# ივერია

ტფილისი [illegible] საჯარო ბიბლიოთეკა

№ 108

კვირა, 20 მაისი, 1901 წ.

რედაქცია [illegible]
ნიკოლოოზის ქუჩაზე [illegible]
ტფილისი.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

დღესწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 24 მაისს

## სახალხო სეირნობა

საქველ-მოქმედო ბაზრითურთ.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების"-მიერ განზრახული სახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება 17-სა და 18 ივნისს. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლ. გა თადეოზის ასულის ჭავჭავაძისასთან, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში", სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის გამგე კომიტეტი ამით აუწყებს ამა საზოგადოების წევრთ, რომ ჩვეულებრივი წლიური საზოგადო კრება დანიშნულია ამა წლის მაისას 26, საღამოს 8 საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში.

განსახილველი საგნები:

1) 1900 წ. საზოგადოების მოქმედების ანგარიში და ამ ანგარიშის შესახებ მოხსენება.

2) 1901 წ. სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა.

3) მოხსენება საზოგადოების საჭიროებისათვის სახლის აშენების საქმის მდგომარეობის შესახებ

და 4) სხვა-და-სხვა თხოვნები და წვრილმანი კითხვები.

(3—6.—2)

ქუთაისის გუბერნიის, შორაპნის მაზრის შავის-ქვის მწარმოებელთა კრების

### საბჭო

თანახმად დადგენილებისა, რომელიც 1901 წლის 12 მაისს მოხდა ჭიათურის შავის-ქვის მწარმოებელთა საზოგადოების საურთიერთო კრედიტის დამფუძნებელ წევრთა კერძო რჩევაზედ, ამით აცხადებს, რომ აღნიშნულის საზოგადოების წევრთა პირველი **საზოგადო კრება** მოხდება სამშაბათს, 22 მაისს 1901 წელს, დილის 11 საათზედ, კრების საბჭოს სადგომში, ქუთაისში.

კრების საგნებს შეადგენს:

1, არჩევანი კრების თავმჯდომარისა.

2, განხილვა და დამტკიცება ამ საანგარიშო წლის ხარჯთ-აღრიცხვისა;

და 3, არჩევანი სხვა-და-სხვა თანამდებობისათვის საჭირო კაცებისა:

ა, გამგეობის წევრებისა;

ბ, საბჭოს წევრებისა და

გ, სარევიზიო კომისიის წევრებისა.

(3—6.—2)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ფ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**გ. ი. გელიშვილი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეკოვი.** 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

**გ. ა. თარხნიშვი.** შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი.** 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
**Навасардіана.**
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

## ქირავდება

ქირით ხუთი ოთახი.

ნიკოლოოზის ქუჩა, № 21, სახლი ე. გ. საგინაშვილისა.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა,

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა; სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ

**ნ. ა. მელიქი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

**ა. მ. შატილოვი**—თვალის 11—12 საათ.

**ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე**—ბავშვებისა 11—12.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**ქ. გ. ფედოროვი.** შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.

**გ. ლ. მარკევიჩი**—საქირურგო—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 ს.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ა. ა. ბელოგოლოვი**—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

**კვირაობით:**

**გ. გ. მაღალაშვილი**—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

## მიწა

კარგ ადგილას მდებარე, ვერაზედ, ჯართა ბანაკის მახლობლად, იმის ზემოთ, სადაც ახალ მართლ-მადიდებელთა ეკკლესიას აგებენ, იყიდება საჟენი 2 მანეთიდგან 75 კაპეიკამდე. მსურველმა უნდა ჰკითხოს იქვე დარაჯს დათიკოს, ან მიხეილის ქუჩაზედ, № 127, ძირითა სართულში. (2—127—1)

### შემოწირულება

„წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ განზრახულ ბაზრობას შემოსწირეს:

ქ-ნმა ოლგა ჯიჯავაძემ—ერთი ნაკერი ბალიში და ერთი ხელსახოცების ჩასაწყობი; ივანე კონსტანტინეს ძე ბალდან-კალინსკიმ—აბრეშუმის პერანგი.

კნ. ნინო ორბელიანის მიერ შეკრებილი:

პაპოვმა—ორი შეკვრა ჩაი; ალავერდოვმა—1 წყვილი ტუფლი; დაროუნომა—8 ნაკერი კისეია; ამირალოვმა—12 მარაო, 6 წყვილი სხვა-და-სხვა ფერის მანიშკა და მაჯები.

## ახალი ამბავი

*** სამშაბათს, 22 მაისს, დაიწყება ტფილისში სათავად-აზნაურო

## ფელეტონი

### ფიქრები

—

უნდა ვიფიქრო, ვინაიდგან ფიქრი აღკრძალული არ არის: ფიქრი სხვაა, საქმე სხვაა, შუა უძევს დიდი ზღვარი. ღმერთმა დაიფაროს, ფიქრისთვისაც რომ სასჯელი იყოს დაწესებული, ათასში ერთი თუ გავბედავდი ფიქრს, თორემ ცხრაას ოთხმოცდა-ცხრამეტი დაემსგავსებოდა იმ ლოდებს, ჩემ პირდაპირ ბექიდგან რომ გამოიყურებიან გამტკნარებულნი, გალულუჩებულნი, საწყლად, ბეჩავად. შესრულდა ორმოცი წელი, რაც მე იმათ შევჩერებივარ, ან-კი საით ავცდები? რა წამსაც სახლის კარებში თავს გამოვყოფ, თვალებში ისინი მეცემიან. დიაღ, შევჩერებივარ მე იმათ, ისინი მე და აბა, არ იქნა, ერთხელ ხმა-კრინტი არ დაუძრავთ... საშინელებაა!.. მაგრამ ვითმენ იმიტომ, რომ რაც უნდა ვეცადო, ლოდებს ხმას ვერ ამოვაღებინებ, ენას ვერ ჩავუდგამ. ბრაზი-კი მომდის, ღვთისა წინაშე, და ამიტომ იმათ მაგივრად მე მოვყვები ყბედობას, ვითომ ისინი ლაპარაკობენ, რა არის, მინდა რომ იუბნონ და ამითი ჩემს თავს მევე ვატყუებ. მეც სწორედ ისე მემართება, როგორც ოდესმე ერთს ხევსურს დაჰმართნია: ძმობილმა სიზმარში ფრანგული (ხმალი) აჩუქა და ეს უარზედ დადგა: „არმი ეგ, რად მი (მინდა)?! მაგას დავით-ფეროულ (ხმალია) მირჩევ მე!" ისე ხმამაღლა განაცხადა უარი, რომ თავისს ყვირილზე გამოეღვიძა და რა ნახა თავისი თავი უნუგეშოდ დარჩენილი, შემოიკრა თავში და პირში, რა მინდოდა ხმალი ჩამომერთვაო. ადგა და ხელ-მეორედ დაიძინა, იმედი ჰქონდა, იმავე სიზმარსა ვნახავ და ხმალსაც ვიშოვიო, მაგრამ ამაოდ, სიზმარი აღარ განმეორდა. რატომ, თავის მოტყუებაც კარგია, როცა იგი სიამოვნებასა ჰგვრის ადამიანს, მაგრამ საკეთილოდ თუ სავალალოდ, ეს თქვენ თითონ განსაჯეთ, ჭკვათა-მყოფელი ადამიანი თავს ტყუილით არ დაუწყებს კრებას, სინამდვილეს პასუხს მისცემს.

სინამდვილე რა-და ხილია?—სხვა რა უნდ იყოს, თუ არ ის, რასაც თვალით ნამდვილად ყველა ვხედავთ და რაც ყურით გვესმის; ისიც-კი უნდა ჩაითვალოს სინამდვილედ, რასაც ნახულისა და გაგონილის გამო ვგრძნობთ. მაშასადამე სინამდვილეა—ცხოვრება ჩვენი და მისნი პირობანი, აგრეთვე ისინი, ვისაც ჩვენ ვხედავთ, ვისთანაც ჩვენ ასე თუ ისე დამოკიდებულება გვაქვს, და თვით ბუნება გარემო ჩვენსა. რა თქმა უნდა, ნამდვილია, რომ ჩვენ, ქართველები, ერი ვართ და როგორი მერე? ამის პასუხად ისეთს ვერას ვიტყვით, რომ ან ჩვენ თითონ არ გვეთქვას და არ ვამბობდეთ თავის თავზედ, ან სხვას, უცხოელს, გარეშე ადამიანს არ ეთქვას ჩვენზედ. სიმართლე და სინამდვილე-კი ის იქნება, ვთქვათ,—ქართველებს ისეთი ავი ზნე არაფერი გვჭირს, სხვა ერსაც არა სჭირებოდეს, ან არა სჭირდეს, მაგრამ იმათ არსებობას, სიცოცხლეს და ბედნიერს მომავალს არც ერთი ჭკვიანი ადამიანი არ უარ-ჰყოფს. ჩვენ-კი აწმყოსაგან გამწარებულნი ეჭვის თვალით, უსაოდ შევყურებთ მომავალს, ქართველი ერი დაბერდაო. ამისთანა აზრი განა ჭკუისა და ცოდნის ნაყოფია?—სრულიადაც არა. მაშ რისა, ან ვისი ბრალია?—ჯერ ერთი იმისა, რომ ყველაფერს, რასაც წიგნიდგან ამოიკითხავს კაცი, დაიჯერებს აუწონ-დაუწონავად და მეორეც იმისა, წაკითხულს სწორედ ვერ გაიგებს. მოგეხსენებათ, მეცნიერმა ოგიუსტ კონტმა, ერის სიცოცხლე შეუდარა ადამიანის სიცოცხლეს და სთქვა—ერი იმავე ხანებს გამოივლის სიცოცხლისას, რასაც ადამიანი თავის გაჩენის დღიდგანო, ე. ი. სიყმაწვილეს, სიჭაბუკეს დავაჟკაცებას და სხვა-და-სხვ. ხოლო კონტს არსად არ უთქვამს, რომ აუცილებლად, უსათუოდ, ყველა ერს სიბერე და სიკვდილი მოელისო. კიდეც რომ ეთქვა, განა უნდა დავიჯეროთ? განა კონტებმა, კანტებმა და სპენსერებმა რომ სისულელე წამოროშონ, ვინაიდგან კაცნი ვართ, რის გამოც ბევრჯელ შევცდებით და მოვტყუვდებით, ჩვენ იმათ პირიდგან ამოსული ბაჯაღლო ოქროდ უნდა მივიღოთ?! განა სპენსერი არ მოტყუვდა ადამიანის სხეული საზოგადოებრივს სხეულს რომ შეუდარა და შეუბადლა, რათა გაემართლებინა, პირ-ნათლად გამოეყვანა ქვეყნის თვალში მონარქიული ბურჟუაზიული წესწყობილება? („საფუძველნი სოციოლოგიისა"). მაგრამ არც ერთმა ჭკუა-გონების პატრონმა ნასწავლმა არ მიიღო ეს შებადლება ბაჯაღლო ოქროდ. ბოლოს იპრიანა ღმერთმა და თითონ სპენსერმავე სხვა თავის თხზულებაში („განვითარება პოლიტიკურ დაწესებულებათა") უარჰყო ეს აზრი. ერის სიბერეს და სიკვდილს ისინი დაიჯერებენ მარტო, ვინც ცხოვრების პირობების გარეშე სხვა რაღაც უხილავს ძალას ჰხედავს, რომელიც არც ცაში და არც დედამიწაზედ არ არსებობს და ჟამთა ბრუნვის სივრცეშია ვითომ გაბნეული, ან კიდევ სადმე წიგნში სწერია. რატომ ღრმად არ უნდა ვიყვნეთ დარწმუნებულნი, რომ ერი მუდამ ცოცხალია და არც მოკვდება, ვიდრე მისი ყოფა-ცხოვრების პირობები მაცხოვრებელის თვისებისანი არიან და რომელ ერსაც ეს

ბანკის რწმუნებულთა წლიური საზოგადო კრება. კრებამ უნდა განიხილოს წარსულის წლის ანგარიში და მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა; მოხსენებანი საზოგადო-სასარგებლო და სასოფლო-სამეურნეო თანხების განაწილების შესახებ და სხვა. სულ 10 საგანია განსახილველი. ამავე კრებაზედ მოხდება არჩევანები გამგეობის ერთის წევრისა, ა. 5. ფურცელაძის ნაცვლად, მისის კანდიდატისა, სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და მათის კანდიდატებისა. კრება დაიწყობა დილის 10 საათზედ, ტფილისში, ბანკის სადგომში.

*** საერო განათლების სამინისტროში უკვე შეუმუშავებიათ საშუალო სკოლის განზრახულ რეფორმის პროექტის დებულებათა მთავარი საფუძველნი. ეს დებულებანი, პროექტის დაწვრილებით გადათვალიერებამდე, განხილული იქმნება განსაკუთრებულ კომისიის მიერ. კომისიის წევრებად იქმნებიან სამოსწავლო ოლქების მზრუნველნი, ზოგიერთ საშუალო სასწავლებელთა დირექტორნი და რამდენიმე პროფესორი.

*** როგორც ვუწყით, ამ 1901 წლის 9 სექტემბერს ტფილისში ბაღოსანთა კრება მოხდება, რომელზედაც განხილულ იქმნება შემდეგი საგნები: 1) ბაღოსნობა საზოგადოდ; 2) მეხილეობა; 3) დეკორატიული მებაღეობა და ყვავილების მოშენება; 4) მებოსტნეობა; 5) ძვირფას მცენარეთა მოშენება; 6) სპეციალურ და სამრეწველო მცენარეთა მოშენება; 7) მევენახეობა და მეღვინეობა; 8) მეტყეობა და ტყის მოშენება; 9) ხილის გახმობა და დამუშავება; 10) მოსავლის მავნე მწერებთან და სეტყვასთან ბრძოლა; 11) მეფუტკრეობა და თაფლიან მცენარეთა მოშენება; 12) მეაბრეშუმეობა და თუთის ხის მოშენება; 13) მორწყვა ნიადაგისა, ჭაობების ამოშრობა და სხვანი; 14) მცხოვრებთა შორის საჭირო სასოფლო-სამეურნეო ცნობების გავრცელება. კრება სექციებად გაიყოფება: 1) მებაღეობისა, სამრეწველო მებოსტნეობისა, ძვირფას და სპეციალურ მცენარეთა მოშენების სექცია; 2) მეღვინეობისა, მევენახეობისა და სხვანი. კრებაზედ დასწრება შეუძლიან ყველა მეურნეს კავკასიისა, შუაგულ-აზიის და სამხრეთ რუსეთისას და აგრეთვე ყველა მსურველს, ვისაც აინტერესებს კრების პროგრამა. კრება 15 დღეს გასტანს.

*** დღეს, 20 მაისს, მიწად-მოქმედების სამინისტროს კავკასიის რწმუნებულის კანცელარიაში მიკოლოგი ბ-ნი სპეშნიოვი უკანასკნელს ლექციას წაიკითხავს ვაზის სხვა-და-სხვა სენის შესახებ.

*** დღეს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილი იქმნება პანაშვიდი ეგნატე ნინოშვილის სულის მოსახსენებლად.

*** როგორც შევიტყვეთ, ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველ კომიტეტისა და გამგეობის შეერთებულ სხდომას გარდაუწყვეტია კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის გამმართველ კომიტეტისათვის 1000 მ. გადადების შესახებ შუამდგომლობა წარუდგინოს 22 მაისის ბანკის რწმუნებულთა მორიგს კრებას.

*** გუშინდელ სხდომაზედ ტფილისის ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა, დაევალოს გამგეობის ყველა განყოფილებებს, რომ ამ წლის 1 ივლისამდე წარუდგინონ ამ განყოფილებათა მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომ მით შეძლება ექმნეს გამგეობას მალე შეადგინოს გამგეობის საერთო ხარჯთ აღრიცხვა მომავალ წლისათვის.

*** ამ დღეებში კავკასიის სამეურნეო სამრეწველო გამოფენის კომისარმა თავ. ი. . ანდრონიკაშვილმა მიმართა თხოვნით კავკასიის ყველა გუბერნატორებს, რომ მათ შეეწეობა აღმოუჩინონ გამოფენის გამგე კომიტეტს ამიერ-კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხეებიდგან გამოფენაზედ წარსადგენად შინა მრეწველობის ნაწარმოებთა და სხვა-და-სხვა ჯიშის ხეების ნიმუშების მოკრების საქმეში.

*** პარასკევს, 18 მაისს, ქალაქის გამგეობას განსხილველად წარედგინა ტფილისის ცხენის რკინის გზის მეთვალყურე კომისიის დადგენილება; სხვათა შორის გამგეობამ დაადგინა, დაავალოს ბელგიის უსახელო საზოგადოებას უფრო ბევრი ვაგონები გამოიყვანოს სამუშაოდ, რადგანაც მეტის, გაძლიერებულის მიმოსვლისათვის ეხლანდელი მომუშავე ვაგონების რიცხვი საკმარისი არ არის.

*** კავკასიის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოების მიერ განზრახულ მომავალ კრებებზედ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენლად იქნება კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი ბ-ნი სულტან-კრიმ-გირეი.

*** ქალაქის საბჭოს შემდეგი მორიგი სხდომა დანიშნულია სამშაბათს, 22 მაისს, საღამოს 8 საათზედ.

*** 16 მაისს კავკასიის მკურნალთა კომიტეტმა გადასწყვიტა სთხოვოს კავკასიის გუბერნატორებს, რომ სამოქალაქო ნაწილის მკურნალები რამდენიმე ხნით განთავისუფლებულ იქმნენ სამსახურიდგან მომავალ მკურნალთა კრებაზედ დასასწრებლად ტფილისში. ამას გარდა კომიტეტმა გარდასწყვიტა სთხოვოს კავკასიის თვით-მმართველობათ გამოგზავნონ მკურნალთა კრებაზედ დასასწრებლად ქალაქების წარმომადგენელნი და ხალხთა ჯანმრთელობის შესახებ პროექტები კრებაზედ განსახილველად.

*** შინაგან საქმეთა სამინისტროს 205 ათასი მანეთი გადაუდვია ამიერ-კავკასიაში დახოცილ ჭირიან საქონლის პატრონთა დასაჯილდოვებლად.

*** ბათუმის დედათა გიმნაზიაში მისაღები ეგზამენები დანიშნულია 28—29 მაისისათვის.

*** 17 მაისს მოხდა ტფილისის ქალაქის თვით მმართველობის შემნახველ-გამსესხებელის კასის წევრთა კრება, რომელზედაც არჩეულ იქმნა კომისია კასის სხვა-და-სხვა საქმის გამოსარკვევად.

*** 17 მაისს, სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის ამიერ კავკასიის განყოფილებაში მოხდა საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც უნდა გაყიდულიყო 12 დაგირავებული მამული ქუთაისის გუბერნიისა და 2 ტფილისისა, ხოლო გაიყიდა ერთი მამული ტფილისის გუბერნიისა 40 ათას მანეთად და ორიც ქუთაისისა. დანარჩენ მამულების საჯარო ვაჭრობა მოხდება 31 მაისს.

*** 16 მაისს ტფილისის საკომერციო სასწავლებელში ეგზამენები დამთავრდა და მოსწავლენი საზაფხულოდ დათხოვნილ იქმნენ.

*** სენატმა განმარტა, რომ ქალაქის საბჭოს შეუძლიან ხმოსნის დათხოვნა საქალაქო დებულებაში აღნიშნულ მიზეზთა გამო.

*** განზრახვა აქვთ ტფილისში ყრუმუნჯთა სკოლა დააარსონ. („ახ. მიმ.“)

*** გზათა სამინისტროში ლაპარაკი აღუძრავთ მატარებლებში მოძრავ სამკურნალოთა გამართვის შესახებ გზაზედ მომხდარ უბედურების დროს მგზავრებისათვის შემწეობის აღმოსაჩენად.

*** როგორც ვუწყით, ტფილისში არსდება ტფილისის საკომერციო სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოება. დამაარსებელნი ამ საზოგადოებისა არიან: თავ. ვ. ა. მიქელაძე, მ. ი. დოლუხანოვი, ე. ა. დავიდოვი, ი. ქ. ვერეტენნიკოვი, ი. ა. მადინოვი, ა. ი. მანთაშევი და ა. თ. ფრიდონოვი.

*** ციციანოვის აღმართზე მუშაობის გამგე ინჟენერმა კოზლოვსკიმ შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე იმის შესახებ, რომ ეხლავე შეუდგეს აღმართის უშიშარ ყოფის საქმეს და ამისათვის საჭირო თანხა 300 მანეთი გადასდოს.

*** დღეს, 20 მაისს, საღამოს 7 საათ. 6 წამიდგან 11 საათ. 55 წამამდის, ასტრონომების გამოკვლევით მთვარის დაბნელება უნდა მოხდეს.

*** განზრახვა აქვთ ტფილისის საფერშლო სკოლის მეთვალყურეს და მისს ორს თანაშემწეს ჯამაგირი მოუმატონ.

## პატარა შენიშვნა

„ივერიის“ მე-102 №-ში ამოვიკითხეთ, რომ ბ-ნს ისაია ფურცელაძეს შეუწირავს თავად-აზნაურთა სკოლის შენობის სასარგებლოდ სხვა-და-სხვა დროს თექვსმეტი თუმანი. ეს ამბავი მეტად შესანიშნავია და არ შეიძლება არ მივაქციოთ მკითხველის ყურადღება. თავად-აზნაურთა სკოლა დაარსდა ტფილისში სწორედ იმ დროს, როდესაც ქართველ მოსწავლეთა რიცხვმა ძალზედ იკლო სხვა-და-სხვა სახელმწიფო სასწავლებელში. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ჩვენ, ქართველობა, სოფლად ვცხოვრობთ და ჩვენთვის ბავშვების მომზადება სახელმწიფო სასწავლებლისათვის და შენახვა ქალაქში ქონებრივად მეტად საძნელოა. აი რადა: ჩვენში ბევრი არ მოიპოვება ისეთნი, რომ ორმოც-სამოცის თუმნის გაღება შეეძლოს წელიწადში შვილების სწავლა-განათლების საქმეზედ და, თუ რამდენისამე შვილის პატრონია მშობელი, მაშინ ადვილად წარმოსადგენია, რა ხარჯი უნდა გაიღოს ქართველმა მშობელმა, რომ თავისს შვილებს ცოტად თუ ბევრად რიგიანი განათლება მიაღებინოს.

რაც ძნელია სოფლად მცხოვრებთათვის, ის ადვილია ქალაქის მკვიდრთათვის. იმ დროს, როდესაც ქართველ მოსწავლეთა რიცხვი მცირდებოდა სახელმწიფო სასწავლებლებში, ამავე დროს მოქალაქეთა შვილების რიცხვი ჰმატულობდა. ეს მოვლენა სწორედ სამწუხარო იყო ამ ოცის წლის წინად.

ტფილისის გუბერნიის მკვიდრნი მომეტებულად ქართველები არიან და მათის შვილების რიცხვი სასწავლებლებში ძლიერ მცირე იყო. განათლების ასპარეზზედ ბურთი და მოედანი სხვას რჩებოდა და ჩვენ-კი მხოლოდ გარედგან მაცქერალნი ვიყავით. აი, სწორედ ამ გარემოებამ აფიქრებინა ყოველ იმ ქართველთ, რომელთ თავის ქვეყნის ბედნიერება სიცოცხლეზე უძვირფასესად მიაჩნიათ, რომ დაარსებულიყო ქ. ტფილისში სათავად-აზნაურო სკოლა. ამ ჟამად ამ სასწავლებელში რვა გიმნაზიური კლასია და მოსამზადებელი კლასის შვიდი განყოფილება, სწავლობს 600 მოზარდი ყმაწვილი, უმეტესად თავად-

---

კარგად ესმის და სასიცოცხლო პირობებს იცავს, ინახავს, იგი მუდამ ცოცხალი, ბედნიერი, ჯანღონით სავსეა, იმას არც სიბერე მოეკიდება, არც სიკვდილი. რომის იმპერიაო, გაიძახიან, დაბერდა და დაეცაო. დაბერდა ოღონდაც, მაგრამ სხვამ ხომ არ დააბერა იგი, არამედ თავი თვისი თითონ დააბერა და დააუძლურა, ყველა ერსაც ესევე დაემართება, უკეთუ იგი სიცოცხლის წყაროს არ ეწაფება, თავისის ცხოვრებისათვის გამოსადეგს ვითარებას არ შეჰქმნის და, თუ აქვს, არ ინახავს, მაგრად არ უჭირია ხელი. ეს დღესავით, მზესავით ნათელია, აშკარაა.

ინტელიგენციას ან-კი რა უფლება გვაქვს ჩვენს სიცოცხლით სავსე ერს ამისთანა შეუფერებელი განაჩენი დაუდგინოთ ასე თამამად, კადნიერებით?!. ვისი დახასიათებაც გინდა, ჯერ უნდა იმას კარგად იცნობდე, მისი გარემოება, ავი და კარგი შეგნებული გქონდეს, რომ განაჩენიც სამართლიანი გამოდგეს. ჩვენთვის-კი ეს ჭეშმარიტება საჭირო არა ყოფილა. ამ ლაყე, შხამიანს აზრს კარგად რომ ჩავუკვირდეთ, ღრმად მოვთხაროთ და ფესვები ამოუჩინოთ, მხოლოდ იქ ვიპოვნით მიზეზს ამ უკეთურის განაჩენისას.. მოვთხაროთ კიდეც და იცით იქიდგან რა ხმა და სამდურავი მოისმის: ამოდენა ვიშრომეთ, ვიღვაწეთ და არ იქნა ქართველ ერს თვალები ვერ ავახილებინეთო. ყველა ჩვენგანსა ჰგონია დიდი და ბევრი რამ გავაკეთე საქვეყნოდ და არაად მოიტანა ნაყოფი-ღვაწლი და შრომა ჩემი დაიკარგა უქმადაო; თორემ ამდენი სხვა ქვეყანაში რომ მეშრომა, იმასაც გავაბედნიერებდი და ჩემს თავსაცაო. ამ უხამსის განაჩენის მიზეზი და სათავე თუ გნებავთ, აქედგან იწყობა. ცოტა შევჩერდეთ და ჩვენსავ თავს დავეკითხოთ: მართლაც რა გავარიგეთ, რა გავაკეთეთ ქართველმა ინტელიგენციამ საქვეყნოდ, საეროდ? თუ მე მკითხავთ, გულ-ახდილად გეტყვით—არაფერი. ინტელიგენციამ ჯერ ის ვერ შევიძელით გვესწავლებინა ერისათვის (ხალხისათვის), რომ მთელი „რჯულ საქრისტიანო“ არაა საქართველო,—ვერ ვასწავლეთ რა არის, რასა ჰქვიან მამული, სამშობლო.. დეპოები სადმე დაარსდა, თავის „რეჩებით“ ისინიც ინტელიგენციამ-ვე დაღუპა; კეთილ ნიადაგზედ სადმე არსდება საზოგადოება და თუ ღვარძლი გამოერია იქ, იცოდეთ, რომ ეს ინტელიგენტისავე უნარი უნდა იყოს. ნამდვილ სახელად ინტელიგენციას ის ჩაეთვლება, რომ გაზეთები და წიგნები მის მეოხებით საკმაოდ იბეჭდება და არავინ-კი არ კითხულობს, ან საიდგან და როგორ უნდა წაიკითხოს კაცმა წიგნი, თუ კითხვა არ ეცოდინება?!. აი როგორი ამშენებლები ვყევართ ჩვენს ქვეყანას! ჩვენი დიდი ღვაწლი განიზომება იმ გარემოებით, რომ ამდენი ლიტერატურული ჰაი-ჰუით, ბევრი-ბევრი რომ ვთქვათ, 1500 მკითხველი შევიძინეთ სამ მილიონ ქართველთაგან და ისიც უეჭველად, ცოტად თუ ბევრად, ინტელიგენტები... დანარჩენი ქართველობა, ერი, მდაბიო ხალხი, რომელიც არის ჭეშმარიტი ძალა ჩვენის ქვეყნისა, დაგვრჩა ღობეს გარეთ, არც ჩვენ გავეცანით, არც ისინი გავიცანით და ვერც ჩვენი ხმა მივაწვდინეთ იმათ. ეხლა კაბინეტში ვსხედვართ და გულ-მკერდს ვიმჯიღავთ: აფსუს ჩვენო ამაგო!.. მახლას, მახლას!.. ჩვენ ინტელიგენციასაც სწორედ ის ემართება ამ შემთხვევაში, რაც მე დამემართებოდა, ამ თხოვნით რომ მომმართა: თქვენი ჭირიმე, ძმებო, რაც შეიძლება მალე, დაწვრილებით, მარეხის ამბები მაცნობეთო!

რა გგონიათ, ჩვენმა ინტელიგენციამ მარეხისა მეტი იცის, ვიდრე თავისის ქვეყნისა და ხალხისა. განა ეს ღვაწლი კმარა ინტელიგენციისათვის? განა ამის მეტი არ მოეთხოვება ინტელიგენციას? ყველგან და ყოველთვის ერის ძალა ინტელიგენცია ყოფილა და იქნება, იგი ბელადია, სარდალი და, ხომ მოგეხსენებათ, სარდლის ნიჭსა და მოხერხებაზეა დამოკიდებული გამარჯვება, მტრის დამარცხება. არა აქვს ჩვენს ინტელიგენციას გარკვეული საერთო პროგრამა და გეგმა მოქმედებისა, უამისოდ კი ყოვლად შეუძლებელია გაკეთდეს რამ თვალ-საჩინო. ჩვენი ყოფა-ცხოვრებაც სწორედ ერთს პროგრამას და ერთს გეგმას მოქმედებისას ჰსაჭიროებს. ეს ვერ შევიგენით, ვერ გავიგეთ დღეს აქამომდე. ასევე იქნება მომავალშიც, თუ ჩვენს ხალხს, მის ცხოვრებას არ შევიგნებთ, არ გავიცნობთ კარგად. მანამდე ვერც საერთო მოქმედების პროგრამას შეიმუშავებს ინტელიგენცია, არც ჩვენის ერის სიბერისა და სასიკვდილოდ განმზადების ეჭვები გამოუვა თავიდან,—მანამდე არც მდურვას ქართველის ერის გულ-გრილობა-დაუდევრობის გამო ექნება დასასრული. მე რომ მკითხოთ, როგორც ბევრად თუ ცოტად მცოდნეს ჩვენის მდაბიო ხალხის და ჩვენის ცხოვრებისა, რომელი უფრო სინდისიერად ასრულებს თავისს მოწოდებას, თუ მოვალეობას, უკანასკნელი გლეხი, თუ თავ-მომწონე რომელიმე ინტელიგენტიო? გლეხი-მეთქი, გიპასუხებთ. ამითი ღმერთმა დამიფაროს სწავლა-განათლების მგმობელი ვიყო. არა, მაგრამ ასეა დღეს და მოდი რას იზამ.

რადაო? იკითხავთ. იმიტომ, მოგახსენებთ, რომ უბირი გლეხი თავისს ცოდნას, თავისს გამოცდილებას, თავისს ძალ-ღონეს არა ჰზოგავს, დილიდგან მოყოლებული საღამომდე წელებზედ ფეხს იდგამს, რომ აცხოვროს თავი და ცოლ-შვილი, გაუძლვეს ამასთანავე ათასნაირს ხარჯს და სხვ. ეტყვის მკითხავი, სადმე ხატისას კურატით უნდა მიხვიდე და ილოცოვო, იმდენს იწო-

აზნაურთა შვილნი, —ვიმეორებ ექვსასი მოზარდი ყმაწვილი, და რომ ეს სასწავლებელი არ ყოფილიყო, როგორც ეს ექვსასი, აგრეთვე მრავალნი სხვანი დარჩებოდნენ სოფლად, მოკლებულნი იმ იარაღსა, რომელსაც ეხლა ყველა ჰხმარობს ცხოვრებაში საბრძოლველად. რამდენადაც ეს სასწავლებელი გაიდგამს ფესვებს ჩვენს ცხოვრებაში, იმდენად ყველა ქართველს, ვისაც-კი გული უძგერს თავისის ქვეყნისათვის არა სიტყვით, არამედ საქმით, იმედი მოეცემა რომ ამ მეოცე საუკუნეში გამოვდივართ ნამდვილ ჭეშმარიტ გზაზედ საცხოვრებლად.

ყველა საქმისათვის და უმეტეს სასწავლებლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ სად უნდა იმოქმედოს და სად უნდა ჰქონდეს ბინა. ტფილისი, როგორც მთელის საქართველოს შუაგული ადგილი, მეტადრე ქალაქის პირი ჭაერის მხრივ არის უკეთესი ადგილი სოფლიდგან ჩამოყვანილ ბავშვთათვის. აქ ისინი, ერთის მხრივ, ახლო არიან ქალაქის ცხოვრებაზედ და ამავე დროს არ იქნებიან დაშორებულნი სოფლის ცხოვრებაზედ. აი, სწორედ ამ ადგილას თავადაზნაურთა საზოგადოებ უშენებს მკვიდრ ბინას თავისს მოზარდს ყმაწვილებს. საზოგადოების განვითარებულნი კაცნი ხელს უწყობენ ამ საქმის წარმატებას, რითაც-კი შეუძლიანთ. აი, ერთი ამათგანი გახლავთ ზემოთ დასახელებული ისაია ფურცელაძე. მცნობთ კარგად იციან, რომ ისაია ფურცელაძე არა თუ მდიდარი კაცია, არამედ უფრო დარიბიც, მაგრამ მდიდარია გულით და მისწრაფებით, რომელსაც ძვალსა და რბილში გამჯდარი აქვს სიყვარული თავისის სამშობლოსი და ჩვენის დროის შრომისა. ეს ყმაწვილი ბრძანდებოდა რამდენსამე წელიწადს სოფლის მასწავლებლად და ამ მხრივ დიდი შრომა მიუძღვის სწავლა-განათლების საქმეში. იგი კარგად არის მიხვედრილი, რომ კაცს და მთელ ხალხსაც აცხოვრებს გონივრული შრომა, შეფარდებული ცხოვრების მოთხოვნილებასთან. ამ აზრით გამსჭვალული მასწავლებლობის დროს და წინად ბ-ნი ისაია ფურცელაძე იწყებს გაშენებას ევროპიულ გემოვნებაზედ 25 დღიურ ხეხილის ბაღისას, რომელიც ამ ჟამად საუკეთესო ხეხილის ბაღად ითვლება მთელს გორის მაზრაში. ეს შეგნებული და დაუღალავი მუშაკი მიხვედრილია, თუ რას ჰნიშნავს კაცისათვის ძალა, ენერგია და რიგიანს გზაზედ დაყენება. მას მცნებად აქვს გარდაქცეული, რომ ყველა კაცი, თუ ხალხი თითონ უნდა ზრუნავდეს თავის თავისათვის და მხოლოდ მაშინ შეუძლიან შესდგას ფეხი წარმატებაში. აი, საიზნაურო სკოლა დაარსებულია ქართველობის თაოსნობით და ქართველისავე თაოსნობით უშენდება მას შესაფერი და სასიქადულო სახლი. აი, სწორედ ამ შენობის სასარგებლოდ ბ-ნი ისაია ფურცელაძე ყოველ წლივ აწვდის შეძლების დაგვარად თავისს წვლილს.

რაც არ შეუძლიან ერთ კაცს, ის შეუძლიან მთელს საზოგადოებას, ხალხს, თუ ის საზოგადოება, ხალხი გატაცებულია რომელისამე აზრით. ვინ არ იცის, რომ სათავად-აზნაურო სკოლის შენობის დამთავრებას დიდი ხარჯი და მხნეობა უნდა, მაგრამ თუ კარგნი გულშემატკივარნი გამოგვიჩნდებიან, რასაკვირველია, მაშინ საქმე ერთი ორად გაუადვილდებათ მათ, რომელთაც ჩაბარებული აქვთ შენობის დამთავრება, ყოველის ქართველის საბედნიეროდ.

შემოქმედელი

# რუსეთი

როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, შუამდგომლობა იქმნა ამას წინად აღძრული შავისა და კასპიის ზღვებს შორის არხის გაყვანის შესახებ. „Рус. Вѣд.“ გადმოგვცემს ეხლა, რომ ამ შუამდგომლობას მთავრობის წრეებში თანაგრძნობით არ მიეგებნენო.

— მთავრობას აზრადა აქვს გამოსცეს ახალი კანონი. აზრად ამ ახალ კანონს ის ექმნება, რომ უძრავ ქონების სხვის სახელზედ შეძენა აუკრძალოს ისეთ კაცებს, რომელთაც ქონების შეძენის უფლება არა აქვთ. როგორც ვუწყით, ეხლა ხშირად უხვევენ კანონს და სხვის სახელით იძენენ მამულებს. ახალის კანონით, დამნაშავე სისხლის სამართალში იქმნება მიცემული, სამართალში მიეცემა აგრეთვე ფაქტიური პატრონიც მამულისა, თუ უცხო ქვეყნელმა შეიძინა ამ გვარად მამული, ჩამოერთმევა მას ეს მამული და ხაზინას გარდაეცემა.

— ფინანსთა სამინისტრომ ცირკულიარი გაუგზავნა საკომერციო სასწავლებელთა დირექტორებს და სამზრუნველო საბჭოებს განსაკუთრებულ კრების მოწვევის შესახებ. კრებამ საკომერციო სასწავლებელთა საქმეების და ამ სასწავლებლებში სწავლის სისტემის უკეთ მოწყობის შესახებ უნდა მოილაპარაკოს.

— ოდესაში ადგილობრივ ხელოსანთ განუზრახავთ სახელოსნო კლუბის დაარსება. აზრად კლუბს ხელოსანთა დაახლოვება, ერთმანეთის დახმარება, სწავლა-ცოდნის გავრცელება ექმნება. კლუბთან დაარსებული იქმნება წიგნთ-საცავი სახელოსნო-სატეხნიკო და სხვა წიგნებისა. გაიმართება კლუბში აგრეთვე კონკურსები, სალიტერატურო, დრამატიული, სამუსიკო და სატკბოთ საღამოები, წაიკითხავენ მოხსენებებს, ლექციებსა და სხვას.

— ამ ბოლოს დროს ფინანსთა სამინისტროს მრავალი შუამდგომლობა მისდის კოოპერატიულ დაწესებულებათა დაარსების ნება-რთვის შესახებ. 1900 წელს სამინისტროსაგან 100 ასეთმა დაწესებულებამ გაიტანა ნება-რთვა, ხოლო მიმდინარე წლის პირველ სამ თვეს —40 დაწესებულებამ. სულ რუსეთში დღეს 1,250 კოოპერატიული დაწესებულებაა.

— გლეხთა განთავისუფლებიდგან ორმოცის წლის შესრულების სახსოვრად მოსკოვში განუზრახავთ მუშათათვის „შრომის სახლის“ აგება. „შრომის სახლი“ ბრიუსელში არსებულ „სახალხო სახლის“ მაგვარი დაწესებულება იქმნება. ამ საქმისათვის ჰფიქრობენ 700,000 მანეთის გადადებას. ამ სახლში მუშებს შეეძლებათ თავის შეყრება როგორც დღისით, ისე ღამე. იქვე იქმნება წიგნთ-საცავი და საჩაიე. დღეღამეში მუშას გამოერთმევა 5 კაპეიკი.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადასწყვიტა დიდი ყურადღება მიაქციოს საზღვარ-გარეთიდგან დაბრუნებულ მაჭმადიან მლოცავთ, რათა მათ რუსეთში რამე გადამდები სენი არ შემოიტანონ. ეს საქმე განსაკუთრებულ მკურნალთ ექმნება მინდობილი.

— რუსთა ახალგაზდა მწერალი მაქსიმ გორკი, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ძალიან ავად თურმე არის. გორკი ამ ჟამად ნიჟნი-ნოვგოროდშია.

— პერმის გუბერნიის ერთ ქალაქიდგან შემდეგს ამბავსა სწერენ „პერმის საგუბ. უწყ.“-ს. ამ ქალაქში ორკლასიანი სამინისტროს სკოლა ყოფილა. ამას წინად მეორე კლასის მოსწავლეთათვის მასწავლებელს წაუკითხნია სამინისტროს სამოსწავლო კომიტეტის მიერ მოწონებულ მარტინოვსკის წიგნიდგან („რუსეთის მწერალნი“) ლ. ნ. ტოლსტოის ბიოგრაფია, რათა შემდეგ მოსწავლეთათვის გაეცნო ამავე წიგნში მოთავსებული ნიმუშები ტოლსტოის ნაწერებისა. სამწუხაროდ, ამ გაკვეთილს დასწრებია ადგილობრივი მღვდელი, სადმრთო სჯულის მასწავლებელი, კაცი მეტად გაუნათლებელი. მეორე გაკვეთილი სამღვთო სჯულისა ყოფილა. პატივცემულ მოძღვარს უსარგებლნია ამ გარემოებით და გაკვეთილზედ, შესვლისათანავე, გამოუცხადებია რა მოსწავლეთათვის, რომ ტოლსტოი „ეკკლესიიდგან განდევნილია“, მოჰყოლია იმის ავად ხსენებასა და ძაგებას. ვინ იცის, ამასთან რა არ უთქვამს: ტოლსტოი „ერეტიკი“, „ღვთის-მგმობელი“, „ეკკლესიის დამცინავიაო“ და სხვა. მღვდელი ხმა მაღლა და გაჯავრებული ლაპარაკობდა თურმე. ამ მწყემსმა მოსწავლეების თვალში დაამცირა არა მარტო ტოლსტოი, მასწავლებელსა და თვით-სამინისტროსაც, რომლის მოწონებაც ზედ აწერია წიგნს, სახელი გაუტეხა.

— ამ ჟამად ტაშკენტის სატუსაღოში ერთი ქალია თურმე. ეს ქალი რაღაც ენაზედ ლაპარაკობს, რომელიც არავის არ ესმის. ქალი მაგილევში დაუპატიმრებიათ უბინაობისათვის, ვერ გაუგიათ იმისი ენა და ტაშკენტში ვაუგზავნიათ, ჰგონებიათ, შუა აზიელია და იქ გაიგებენ, ვინ არისო. სამწუხაროდ არც ტაშკენტში სცოდნია ვისმეს ის ენა, რომელზედაც ქალი ლაპარაკობს. ეხლა აღარ იციან თურმე რა უყონ ამ ქალს და საით გაგზავნონ.

— პეტერბურგის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებას ამას წინად ერთი საყურადღებო საქმე გაურჩევია. ქ-ნი ი. ალენიევისა ქმარს უჩიოდა, მეტად ცუდად მეპყრობაო, ამის გამო ცალკე საცხოვრებლად საჭირო ფულს ედავებოდა. ალენიევს საკუთარის სახლიდგან წელიწადში 10,000 წმინდა შემოსავალი ჰქონია; ცოლი თავისთვისა და რვა წვრილ შვილისთვის თვიურად 200 მანეთს თხოულობდა. სასამართლოში აშკარად გამოირკვა თურმე, რომ ქმარი მართლაც მხეცურად და მეტად უდიერად ექცეოდა როგორც ცოლს, ისე შვილებს. ერთ მოწმეს განუცხადებია: „ალენიევმა ერთხელ ისე შემზარავლად სცემა ცოლს, რომ გამწარებული, ნახევრად-გატიტვლებული, დასისხლიანებული ქალი გარედ გამოვარდა და მეზობლის სახლში დაიმალა. მაშინ ქმარმა უბრძანა მეჯინიბეს, ცეცხლი წაუკიდე სახლსაო. რადგანაც მეჯინიბემ ეს ბრძანება არ შეასრულა, ალენიევი შეუვარდა ცოლს სხვის სახლში და ახლა იქ დაუწყო უწყალოდ ცემა“. შვილებსაც ხშირადა სცემდა თურმე მათრახითა და სახრით. ერთხელ ერთი შვილი ძაღლის ქოხში ჯაჭვით დაუბამს თურმე. სასამართლომ ცოლის სასარგებლოდ გადასწყვიტა საქმე და დააკისრა ქმარს ყოველ თვიურად ფულის გარდახდა. ამას გარდა სასამართლოს მოწმეთა ჩვენება ბრალმდებელისათვის გადაუცია სისხლის სამართალში საქმის ასაღძვრელად.

# უცხოეთი

**ჩინეთი** „Welt. Corr.“-ში მოყვანილია შინაარსი ორის დიდად საყურადღებო წერილისა, რომლებიც წარჩინებულს ჩინელებს თურმე ეკუთვნიან და ჩინეთის საქმეთა დღევანდელს მდგომარეობას შეეხებიან. როგორც ამ წერილებიდგანა სჩანს, ევროპის სახელმწიფოთა ჯარების ჩინეთში გადაყვანას სრულიადაც არა მოუმატებია-რა და ჩინელები ძველებურად, თავიანთებურად, თურმე ატყუებენ ევროპიელებსა. პირველის წერილის ავტორი, სიანფუში მცხოვრები მანდარინი, შანჰაიში მცხოვრებს თავისს ნაცნობსა სწერს, რომ სამეფო სახლობას პეკინში დაბრუნება ჯერ აზრადაც არ მოჰსვლია, თუმცა ხუნანისა და შანსის პროვინციებში ყველა თანამდებობის კაცი მიწერილობანი გაუგზავნეს, რომ იმპერატორის დასახვედრად ეხლავე სამზადისი გასწიონ, ამ მიწერილობათ არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ და მხოლოდ უბრალო ჭადრაკის თამაშობაა, რომ უცხოელები როგორმე აცდინონო.

მეორე წერილი ხუნანის გუბერნატორს შეეხება, რომელიც დიდი ხანია უცხოელების დაუძინებელ მტრად ითვლება. გუბერნატორს ბრძანება გაუცია, რომ კათოლიკეთა და პროტესტანტთა მისსიებს უოველივე ზარალი უზღონ ჩინელებმა, მაგრამ ასე მოქცეულა არა იმიტომ, რომ უცხოელებისათვის გული შესტკივა, არა-

წიალებს, იმდენს თავში ქვას იხლის, ტანზედ პერანგს აღარ შეირჩენს, საითაც იქნება, თუ თითონ არა ჰყავ, იყიდის და ხატ-ღმერთთანკი პირ-შავად არ გამოვა. და არც თავისს სინიდისთან არის პირშავი. რის გაკეთებაც შეუძლიან, აკეთებს; როგორც ეხერხება თავისს ხშირად ყალბი გრძნობის დაკმაყოფილება, ისე აკმაყოფილებს; რაც აზრი და რწმენა აქვს, იმის დაგვარად შესაფერად იქცევა. და ეს მას სრულ ადამიანად ჰქმნის. რა ვუყოთ, მართალია, მისსავე სუფრაზე რომ ჩვენის ქვეყნის—საქართველოს სადღეგრძელო დაჰლიოს, ვითარცა ინტელიგენტმა და თამადამ, იგი ასე განიმეორებს: „გაუმარჯოს რჯულ-საქრისტიანოსაო!“ ჩვენებური ტვინ-ფრთხუნა კოსმოპოლიტებს, (ნუ გიკვირთ!) არ გეგონოთ-კი, რომ ეს კოსმოპოლიტობით მოსდიოდეთ, ვინაიდგან ჯრულ-საქრისტიანო ქვეყანა ერობაზედ დიდია და თითქმის მთელს განათლებულ ქვეყნებს შეიცავს, არამედ იმის გამო ემართება, რომ არა აქვს არავითარი ცოდნა თავისის ქვეყნისა და საქართველოს გარეშე ვერ წარმოუდგენია „რჯულ-საქრისტიანო“, სულ საითარეთი ჰგონია...

ჩვენი ინტელიგენტი-ღა?.. ჰმ! რა ვქნათ და რა ვთქვათ?!. რამდენსა სტყუის იგი თავის საკუთარ ღმერთთან, თავისის აზრისა და გრძნობის წინაშე, ამა თუ იმ მიზეზისა გამო, ჩემთვის სულ ერთია, და რომ სტყუის, ეს უეჭველად ასეა, თითონაც კარგად უწყის და არც იუარებს, ხშირად თავსაც დროსა და გარემოების მიზეზით ჰპართლუულობს .. ამას აზრი და გრძნობაც ვრცელი აქვს, იდეალებიც დიდი, მაგრამ იმის მეათასედსაც ვერ აკეთებს, რასაც ჰგრძნობს და ჰსაზრობს. ეს მოვლენა შეგნებულ ადამიანისათვის ყოვლად აუტანელია, მტანჯველი და იგი ჰქმნის ჩვენებურს ინტელიგენტს ნახევარ ადამიანად, უბედურს, ცხოვრებისაგან უკმაყოფილოს, პესსიმისტს. მე ამას ვიკმარებ და დანარჩენის განსხვავების აღმოჩენა ინტელიგენტს და მდაბიო კაცის შესახებ, მკითხველო, თქვენთვის მომინდვია. იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ ეს უკანასკნელი ერის ნივთიერ სიმდიდრის შემოქმედია და ფეხიც არ მოუსხლეტია, მაგრად უდგა სამშობლო მიწა-წყალსა და მამა-პაპის კერაზედ. იმას თუ ჩირაღდანი კარებზედ არ მიუტანე, იმისთვის სოფლიდგან ქალაქში არ გამოიქცევა, იმდენად თავს არ შეიწუხებს და მამაპაპური სანთლით, კერაზე დანთებულის ცეცხლით იოლად გამოვა. სკოლაში რომ შვილი მიაბაროს, სრულიადაც არა ჰფიქრობს იმას, რა მეთოდით, წესით ასწავლიან იმის შვილს და რამდენის თვის უკან დააწყებინებენ უცხო ენაზე სწავლას.. ენა, სამშობლო, მან ანდით იცის და არა გონებით, ამიტომ მას არ ძალუძს რიგიანად ან ერთს გაუწიოს პატრონობა, ან მეორეს... როგორმე რომ მოხდეს და ერთს პატიოსან დღეს მისი შვილი სკოლიდგან ისეთი განსწავლული დაბრუნდეს, ინჩიც აღარ ესმოდეს ქართულისა და უცხო ენაზედ-კი გამაშირებით საუბრობდეს, შვილის ასეთი გარდაქმნა იმითი თუ დაალონებს, რომ ველარაფერს გააგონებს და ველარც რას შვილის ნათქვამიდგან გაიგებს, სხვაფრივ კიდეც გაუხარდება. დიაღ, გაუხარდება, რადგან არ იცის, რა შედეგი მოსდევს ამისთანა შვილის ყოლას, იგი ძალიანაც კმაყოფილი დარჩება, რადგან მეზობლები იტყვიან: „ეჰე, ჩვენ დემეტრეს როგორი ნაჰწავლი შვილი გამოსვლია, ქართულ სულ ველარ ლაპარაკობსო“. ასე გახლავთ, თუმც შეიძლება ზოგიერთმა არც-კი დაიჯეროს, ნება აქვს, მე-კი მაინც იმას ვიტყვი, რაც ვიცი და რაც ჩემის ყურით გამიგონია. დიაღ, დემეტრე ისე ჰფიქრობს, რომ ქართულის სწავლება ქართველი ბავშვისათვის სრულიადაც საჭირო არ არისო, რადგან იცის, ვითომ და ნაცოდნზე დროს დაკარგვა მეტ, უქმ შრომად მიაჩნია, თორემ განა სძულს, ან ეჯავრება თავისი ღვიძლი ენა.

ყველა ეს უვიცობის, უმეცრების ბრალია, რაშიაც თვით ინტელიგენციასაც წილი უძევს. რა მიგიციათ, რასა სთხოვთ, ამაზე მეტი ხათაბალა იქმნება?! რაც ცოდნა და გამოცდილება მამა-პაპამ უანდერძა გლეხკაცობას, ამან კარგად შეინახა: საცა ვენახი ხარობს, მშვენივრად შემუშავებული ვენახი აქვს; საცა საქონლის მოშენებას უწყობს ადგილი ხელს—საქონელი ჰყავს მოშენებული და, ხვნა-თესვას თუ ვიტყვით, რიყესა და კლდეზედაც სულადი, პური მოჰყავს. არც ერთს ახალს საშუალებას, თუ მანქანას არ უფრთხის იგი, როცა დაინახავს მის სარგებლობას—ვენახების შეწამლვა, ახალის ჯურის გუთნების შეძენა, ყველგან გახშირებულია, როგორც კახეთში, ისე ქართლში და სხვ. საწყალმა არ იცის ბევრი რამ და ყველაზედ მეტად ის, რითაც ჩვენ უფრო თავს შეგვაყვარებდა ეს—ინტელიგენციის სულიერი მისწრაფება, მისი იდეალები...

მარტო თავად-აზნაურობა არ არის ერის ძალა და ისინი თუნდა დიდიდგან დაწყებული პატარამდე საუკეთესო აზრებით, გრძნობით გაიმსჭვალნენ, საუკეთესოდ იმოქმედონ, მაინც ვერაფერს გავხდებით, უკეთუ მდაბიო ხალხიც ბანს არ მისცემს... რას აკეთებენ მღვდლები? სოფელი არ არის, მღვდელი არ იყოს და რა დასაჯერებელია, ნამდვილმა მოძღვარმა 5—6 მოწაფე ვერ შეიძინოს, ისე ვერ გამოაღვიძოს ისინი, რომ ჰქონდეთ წადილი წიგნის, გაზეთების კითხვისა, ქვეყნიერობისა რამ გაეგებოდეთ?!. ჩვენ ამას ვერა ვხედავთ, ან-კი საით დავინახავთ იმას, რაც არა სჩანს სადამე.

ვაჟა-ფშაველა

მეტ ასადღვებლად და მოსაზრებაც გამართლებაა: გუბერნატორის განკარგულებას მცხოვრებნი საშინლად აუღელვებია. როდესაც გუბერნატორს დაჰკითხვიან,—რატომ ინებეთ და ასე რად მოიქეცითო, მას სრულიად დამშვიდებულად განუმარტავს, რომ უცხოელები და, საზოგადოდ, ქრისტიანები ყველანი ამოწყვეტის ღირსნი არიან, მაგრამ საჭიროა უცხოელებს თავი ისე ვაჩვენოთ, ვითომ ვემორჩილებითო. ეს ორი ცნობა ერთი მეორისაგან დიდის მანძილით დაშორებულ ადგილიდგან არის მიღებული და ამიტომაც ჟურნალი დიდად საყურადღებო ამბადა სთვლის, რადგანაც შესაძლებელია, რომ მთელს ქვეყანაში ყველა ამავე აზრისა იყოს.

— ამავე აზრისაა შანჰაის ჟურნალი „Revue de l'Extrême Orient“-იც. ჟურნალი უთითებს ჩინელების ბუნებითს კონსერვატიულს ხასიათზედა და აგრეთვე იმ გარემოებაზედ, რომ მრავალი მანდარინი, როდესაც სამეფო სახლობას თავისს რჩევას აძლევდა, ჩვენის ხანის პირველი საუკუნის მაგალითით თურმე ჰხელმძღვანელობდა და დღევანდელს პირობებს-კი სრულიად უყურადღებოდ თურმე სტოვებდნენ. ამიტომაც ამ წინაზედ რუსეთის საწინააღმდეგოდ ჩინეთში მომხდარი რამდენიმე ყრილობა მხოლოდ ინგლისის წაქეზების ნაყოფად უნდა ჩაითვალოს და არა ჩინელთა საზოგადო აზრის მისწრაფებად, რადგანაც ჩინელებს საკუთარი საზოგადოებრივი აზრი ჯერ არა აქვთ და ყრილობაზედ დამსწრენი მხოლოდ შემთხვევით ყურის-მგდებელნი იყვნენ, ან ცნობის-მოყვარენი და სხვა არაფერიო... „მაგრამ დროებით თუნდაც ვერწმუნოთ ინგლისსა და დავუჯეროთ, რომ ჩინელებს საზოგადოებრივი აზრი უკვე შემუშავებული აქვთ, მაშინ ინგლისმა რატომ „დიდი მუშტის“ მოძრაობას-კი არ მიაქცია ყურადღება, რომელსაც მთელი მილიონები თანაუგრძნობდნენო?—შეჰნიშნავს ჟურნალი. თუ რომ ინგლისი მართლაც ჩინელების საზოგადოებრივს აზრს რაიმე ყურადღებას აქცევს, მაშინ თავისი გუდა-ნაბადი აქამდისაც უნდა წამოეკიდნათ და გზას გასდგომოდნენ, რადგანაც მათი ამოწყვეტა დიდი ხანია გარდაწყვეტილი აქვთო“.

— „Lokal Anzeiger“-ს დეპეშით ატყობინებენ პეკინიდგან: „საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი და ინგლისი საელჩოების დასაცველად სამას-სამას კაცს სტოვებენ პეკინში; იტალია და ავსტრო-უნგრეთი ორას-ორასსა სტოვებენ, შეერთებული შტატები—150. ტიან-ძინში ამ ჟამად 6,000 ჯარის-კაცია, რომელთაგანაც 4,000 მალე გაიყვანენ. შანჰაი-გუანში და ჩინგ-ვენტაუში ათას-ხუთასი კაცია. პეკინ-შანჰაი-გუანის რკინის გზის ლიანდაგზედ განზრახული აქვთ სამას-სამასი კაცი დააყენონ დარაჯად, ხოლო პეიხოს მახლობლად უფრო პატარ-პატარა დარაჯი. საზოგადოდ პეჩილის პროვინციაში 12,500 ჯარის-კაცი იქმნება დატოვებული.

### ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

„ფიგაროში“ დაბეჭდილია ვრცელი წერილი გასტონ დეშანისა ამერიკაში ქალთა სწავლა-განათლების შესახებ. აი რასა სწერს ფრანგი მწერალი უნივერსიტეტების შესახებ: „მე დავათვალიერე ქალთა რამდენიმე უნივერსიტეტი. არაფერი ამ გვარი ევროპაში არა მინახავს რა. დაწვრილებით დავიარე სმიტის საუნივერსიტეტო ახალშენი. ამ ახალშენში სამი ათასი ახალგაზრდა ქალი ემზადება ცხოვრებასთან საბრძოლველად, სწავლობს ძველ ლათინურსა და ებრაულ ენებს, ქიმიას, მათემატიკას და სხვა მეცნიერებას, აგრეთვე სამხედრო წრთვნას, ნავისა და გემის მმართვა-გამგებლობას და სხვას. დავათვალიერე აგრეთვე უელსლეის ახალშენი, იმისი სამაგალითო ბაღები, ტყეები, ტბები და საუცხოვო სადგომები. შვიდას თექვსმეტი ქალი სცხოვრობს და სწავლობს ამ თვალ-წარმტაც ახალშენში. შეჰხვდებით ამ ქალებს ამერიკის ყველა კუთხიდგან. რამდენიმე ქალი სხვა სახელმწიფოდგანაც-კი არიან, მაგალითად, ოსმალეთიდგან ორი ქალი. უელსლეიში პროგრამა მეტად ვრცელია. სწავლობენ: ძველ ენებს, არქეოლოგიას, ახალ ენებს (ფრანგულსა, იტალიანურსა, ესპანურსა და ინგლისურს), ფილოლოგიას, საეკონომიო მეცნიერებებს, ინგლისის ლიტერატურას, ფილოსოფიას, ისტორიას, მათემატიკას, ქიმიას, ფიზიკას, გეოლოგიას, ბოტანიკას, ზოოლოგიას, პედაგოგიას, ბიბლიოგრაფიას, მჭერმეტყველობას, მუსიკას... არ იფიქროთ, ახალგაზდა ქალები მუდამ სწავლა-მეცადინეობაში ატარებდნენ დროს; დიდს ყურადღებას აქცევენ სხეულის ვარჯიშობა-გიმნასტიკას. ამ გიმნასტიკის წყალობაა, რომ მოსწავლე-ქალები სიცოცხლით სავსე, ჯანსაღნი არიან. ამისავე წყალობაა, რომ თითქმის ვერც ერთ ულამაზო ქალს ვერ შეჰხვდებით.“

### „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საცავის ხელთ-ნაწერი რვეული № 2483.

ლექსნი ანაკრეონულნი

როსმე კუპიდონ გეჯითგან, თაფ-
ლისა მღები წყნარადა,
ერთმან ბოროტმან ფუტკარმან დაი-
სრა შეუწყალადა;
პაწაწა ღმერთი კოდილი,
თით ტკინებული, ღმობილი
კელს ჰბერავს, ფერხს ჰსცემს მიწასა;
მაგრამ რას არგებს მით წვასა?
ჰფრინავს და მსწრაფლად შვენიერს
ვენერას მიემართება:
დედავ! დედა…! შესჩივის; გავსთავ-
დი, ცეცხლი მედება.
„ერთმან მცირემან,
„გველმან მფრინემან,
„ვის მეგუთნენი უხმობენ ფუტკ-
რად,
„გამგმირა თვისით
„მავნების ისრით
ჩემის სიცოცხლის გლახ შესამუს-
რად“.
ვენერამ მშვენმან,
სიამის მფენმან,
ღიმილით უგო პასუხი მშვიდად:
„რასათვის ჰკვირვობ,
„შენც ფუტკრებრ მცირობ,
„მარა ვისც ჰკოდავ, ამჭირვებ დი-
დად“.

ამ ლექსს, რომლის მთარგმნელიც არა ჰსჩანს, მიუძღვის პატარა შენიშვნა, სხვათა შორის, თვით ანაკრეონის შესახებ. „ანაკრეონ თეოხელი,—ამბობს მთარგმნელი,—იყო გამოჩენილი შაირთ მთხზველი ბერძნულსა ზედა ენასა. იგი ცხოვრებდა სამოსს პოლიკრეტისათანა. თავადმან ამან ჰსცა მას ხუთი უკვე ტალანტი. ანაკრეონს, რომელი ესეოდენთა ვეცხლთა არაოდეს მექონ იყო, განუკრთა ძილი და ამისთვის უკუნ უქცია ნიჭებული იგი პოლიკრატს, მთქმელმან ესრეთ: „მძაგან მე ნიჭნი, რომელი მყუდროებას ავნებენ.“

პეტრე მირიანიშვილი

## დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

18 მაისი.

**ვენა.** ავსტრიის დელეგაციის საბიუჯეტო კომისიამ მიიღო ბეკევემის მოხსენება გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის შესახებ. ამ მოხსენებაში მოყვანილია მოკლედ გოლუხოვსკის სიტყვა და სხვა-დასხვა მოქამათეთა აზრები და გამოთქმულია კმაყოფილება გერმანიასთან მშვიდობიან დამოკიდებულებისა გამო. რუსეთთან შეთანხმებას-კი შეუძლიან უზრუნველ ჰყოს მშვიდობიანობაო. მოხსენება დიდს მნიშვნელობას აძლევს ამ შეთანხმებას, რომელსაც ეკუთვნის აგიტაციის ჩაქრობის საქმეცაო. მოხსენება თავდება მინისტრის მიმართ სრულის ნდობის გამოცხადებით და საგარეო პოლიტიკის ღირსეულად წაყვანისა გამო მხურვალე მადლობით.

**ბერლინი.** ბერლინის გარნიზონის დღევანდელი პარადის გათავების შემდეგ იმპერატორისა, დედოფლის ვილჰელმინასი, პრინცის ჰენრიხ ნიდერლანდელისა და დიდის ჰერცოგის მეკლენბურგელის თანადასწრებით, მიეგებნენ დედოფალს ვილჰელმინას, იმპერატრიცასთან ერთად მიმავალს, ქალაქ ბერლინის ობერ-ბურგომისტრი, მაგისტრატის დეპუტაციები, ქალაქის წარმომადგენელნი და გუნდი 34 ქალისა. ობერ-ბურგომისტრმა დედოფალს სიტყვა მოახსენა, ხოლო ერთმა ქალთაგანმა მიართვა თაიგული, რომლის ყვავილები ნიდერლანდის ბაირაღის ფერისანი იყვნენ. დედოფალმა მადლობა გარდაუხადა და იმპერატრიცასთან ერთად სასახლეში წაბრძანდა. გზაზედ ბრბო აღტაცებულის ძახილით ეგებებოდა. იმპერატორიც პარადის შემდეგ სასახლეში წაბრძანდა; იმპერატორის მარჯვნივ პრინცი ჰენრიხ ნიდერლანდელი მიდიოდა და მარცხნივ დიდი ჰერცოგი მეკლენბურგელი.

**შანჰაი.** სიანფუში მყოფი ერთი შეძლებული საკომერციო აგენტი ამბობს, რომ იმპერატორის მეგობარმა ლილიუნიაინმა და სახელმწიფო საბჭოს ორივე წევრმა ლინონიაინმა და იუნლუმ, რომელნიც ეხლა მთავრობის სათავეში დგანან, დაადგინეს—გადააკეთონ ჩინეთი ნამდვილს ჩინურს საძირკველზედ; იმათ მოაღწიეს იმპერატორის ბრძანების გაცემას, რომლითაც შეცვლილ იქმნება ექვსის მინისტრის ყველა განკარგულება, იმავე განზრახვით მოხდენილი, და დაევალა მინისტრებს, დაუბრუნდნენ იმ უბრალო წესებს, რომელნიც წინანდელის დინასტიების დროს არსებობდა. აგენტი შემდეგ ამბობს, რომ საიმპერატორო სახლობა პეკინში დაბრუნების ნაცვლად ზაფხულის მაგივრად ... თამში აპირებს წასვლასაო.

**ლონდონი.** კიტჩენერი პრეტორიიდგან იუწყება: „გენერალ დიქსონის რაზმს გუშინ ფლაქფონტენთან თავს დაესხა დელარეის ჯარი. ცხარე ბრძოლის შემდეგ მტერი დიდის ზარალით უკუ-გდებულ იქმნა: მტერმა დასტოვა 35 კაცი მოკლული; სამწუხაროდ ჩვენც ბევრი დავკარგეთ: დაჭრილი და მოკლულია 175 კაცი, ამათგან 4 აფიცერი“.

**სტოკჰოლმი.** კონტრ-ადმირალი პალანდერი დანიშნულ იქმნა ზღვათა მინისტრად.

**ვაშინგტონი.** ხუთშაბათს პეკინიდგან გამოგზავნილი დეპეშა იუწყება,—ჩინეთი თხოულობს, რომ საზღაური გარდახდილ იქმნას ოც-და-ათის წლის განმავლობაში-კი არა, არამედ ორმოც-და-ათის წლისა.

19 მაისი.

**პეტერბურგი.** 18 მაისს, კრონშტადტის ნავთ-საყუდარში უმაღლესად დათვალიერებულ იქმნა საზღვარ-გარეთიდგან ჩამოსული გემები: „ჰერცოგი ედინბურგელი“, „ვარიაგი“ და „ჯიგითი“.

ალექსანდრე ნეველის სიფხიზლის საზოგადოება შეუდგა განსაკუთრებულის შენობის აგებას ფხიზელთა კრებისა, სიმთვრალის მავნებლობის შესახებ კითხვათა, სახაიესო, კანტორისა, ამბულატორიისა, სტამბისა და სხვა სიფხიზლის გამავრცელებელ დაწესებულებათა მოსათავსებლად.

ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ბრძანა გადადებულ იქმნას ქალაქ პინსკის ცეცხლისაგან დაზარალებულ მცხოვრებთათვის 10,000 მან.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან საკუთარის თხოვნის თანახმად სახელმწიფო კანტროლერის ამხანაგი ივაშჩენკოვი.

**ვენა.** დეპუტატთა პალატამ სადამოს სხდომაზედ მიიღო მთავრობის წინადადების უკანასკნელი მუხლები არხების გაყვანისა და მდინარეთა მოწყეს-რიგების შესახებ.

**კორუნია.** ქალაქის გარდასახადთა დაწესებულებებში მოსამსახურენი აჯანყდნენ და ქვები ესროლეს ჟანდარმებს, რომელნიც წესიერების აღდგენას სცდილობდნენ. ჟანდარმებმა [illegible] და რამდენიმე კაცი [illegible] დასჭრეს. ჟანდარმებმა გაჰფანტეს აჯანყებულნი, რომელთაგან ერთი მოკლულ იქმნა და 10 დაჭრილი.

### წერილი რედაქციის მიმართ

—

გულითად მადლობას ვუცხადებ როგორც ჩემის, ისე ჩემის მრევლის მხრივ ბათუმის ფოსტა ტელეგრაფის მოხელეს ბეგლარ სვიმონის ძე მუშკუდიანს, რომელმაც ჩემდამი რწმუნებულს ოფიტრისა და ლაჭეპიტის ზედ მიწერილს ეკკლესიებს (ლეჩხუმის მაზრაში) შემდეგი ნივთები შემოსწირა: 1) ბარძიმ-ფეშხუმი თავისის მოწყობილობით, ღირებული 25 მანეთად, 2) წყვილი დროშა, ღირებული 30 მანეთად, 3) გარდამოხსნა,—15 მანეთად, 4) ხორ-კანდელი დიდი—30 მანეთიანი, 5) სამი პატარა კანდელი 20 მანეთად ღირებული და 6) სხვა წვრიმალი სამკაული 30 მანეთისა, და სრულიად 150 მანეთის საეკკლესიო ნივთები.

მღ. იაკობ ყურაშვილი.

—

მადლობას ვუცხადებ გიორგი პავლეს ძე ლორთქიფანიძეს, რომელმაც დიდი-ჯიხაიშის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს შემოსწირა 27 ცალი ქართული წიგნი (7 მან. და 55 კაპეიკისა) და ვარლამ გეფერიძეს, რომელმაც ერთი ქართული და ერთი რუსული წიგნი შემოსწირა.

მმართველი დიდი-ჯიხაისის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოსი ბეჩო მახიძე


### განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს,**

რომ 21 მაისს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით, **მოხდება საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა ქალაქის მიწის ნაჭერი, ტფილისის მე-7 ნაწილში, ავლაბარში. სულ 23 დესეტინაა გაჯიანი ადგილი.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გასინჯონ გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, 9-დგან 3 საათამდე. ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, იმან 100 მანეთი ბე უნდა წარადგინოს. (3—6.—3)

უბედურ შემთხვევების შემდეგ დაშავებულნი და დაზარალებულნი მალიან ხშირად სწუხან, რომ თავისს დროზედ ასეთის შემთხვევისათვის საჭირო ღონისძიებანი არ მიიღეს.

ქონებრივის ზარალისა და ყოველ-გვარის უბედურების თავიდგან ასაცილებლად, ვურჩევთ უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევას დამზღვევ საზოგადოებას „როსსიაში“. ყოველ-წლიურის შესატანით 20-დგან 50 მანეთამდე, ხელობისა და საქმის მიხედვით, შეიძლება დაზღვევა 10,000 მანეთისა იმ შემთხვევისათვის, თუ მოკვდა, და 10,000 მანეთისა,—თუ დაშავდა.

დაზღვევა შეიძლება 1,000 მ.-დგან 200,000 მანეთამდე.

1900 წელს დამზღვევმა საზოგადოებამ იმ დაზღვეულთა დასაჯილდოებლად, რომელთაც უბედურება შეემთხვათ, გასცა 1,200,000 მანეთი.

დაწვრილებითი ცნობების გაგება შეიძლება გამგეობაში (პეტერბურგი, დიდი მორსკაია, № 37), საზოგადოების განყოფილებაში ქ. ტფილისს (ვერეიეის ქუჩა, № 6) და აგენტებთან იმ ქვეყნის ყველა ქალაქებში.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 19-го Мая 1901 г. სტამბა ქქ. ივ. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე